საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 98

ქ. თბილისი

16/06/2020

განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ1-კმ12,4 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (შემდგომში - დეპარტამენტი) და შპს ,,საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი“-ს შორის 2019 წლის 2 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. №57-19 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს. "საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი"-ს 2020 წლის 10 ივნისის N0110062020 წერილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი: 10.06.2020წ. №11972/2) დეპარტამენტში წარმოდგენილი, შპს ,,ალიგატორის“-ს მიერ 2020 წლის 04 თებერვალს შედგენილი, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ1-კმ12,4 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-45 მუხლის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვბრძანებ:

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ1-კმ12,4 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული, საჯარო რეესტრში N66.60.08.054; N66.60.08.203; N66.60.14.014; N66.60.14.001; N66.60.14.002; N66.6014.053; N66.60.08.126; N66.60.12.049; N66.60.13.281; N66.60.14.184; N66.60.14.202 და N66.60.14.176 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით;
2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება დაევალოს დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს;
3. ამ ბრძანებისა და ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული საკადასტრო აღწერის შედეგების, გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმების საჯარო გაცნობისათვის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.